მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

9 ოქტომბერი, 2023

1. პროცესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

1.1 განცხადება სკოპინგის პროცედურის/ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ არ გამოქვეყნებულა

1.1.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სააგენტო IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის, 116-ე მუხლის თანახმად, კი ადმინისტრაციული ორგანო **ვალდებულია** ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;

დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

ასევე, 117-ე მუხლის თანახმად, საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, **აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;**

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება კოდექსით დადგენილი ნორმები, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუსაბამობას არ აქვს ადგილი, ამდენად სზაკ-ის ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის საფუძველი არ არსებობს.

1.1.2 გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლი, ასევე ავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო უწყებას, რომ დაინტერესებული საზოგადოება **ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად** იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის **საწყის ეტაპზე** შემდეგი საკითხების თაობაზე:

ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;

ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;

გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით, თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული (მათ შორის **I) პროცედურის განხორციელების დაწყება;** II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი; და ა.შ.)

1.2. საჯარო განხილვის შესახებ [განცხადება](#) **არ მოიცავს ბმულს განსახილველ დოკუმენტებზე და არც მითითებას საინფორმაციო პორტალზე.** ანუ, იმ შემთხვევაში თუკი, დაინტერესებული პირისათვის რაიმე შესაძლებლობით ხელმისაწვდომი გახდება აღნიშნული განცხადება, დოკუმენტებზე წვდომის შესაძლებლობა მაინც არ ექნება.

1.3. ყველას აქვს უფლება **დაუბრკოლებლად გაეცნოს** საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება; თუმცა, მოქალაქეები მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან როდესაც მთავარი განსახილველი დოკუმენტები გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე ქვეყნდება „თანმხლები დოკუმენტების“ სახელწოდებით დაარქივებული ფორმით. ის, რომ თითქოს „დოკუმენტაციის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, პროგრამულად მიზანშეწონილია ფაილების დაარქივება“ ვერ იქნება გამართლება დაინტერესებულ პირებისათვის განსახილველ დოკუმენტებზე წვდომაში დაბრკოლებების შექმნისათვის.

2. სკოპინგის ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებული საკითხები

2.1 სკოპინგის საგანი

როგორც სკოპინგის ანგარიშშია აღნიშნული, ფაბრიკის საქმიანობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №ი-11 ბრძანებით 2017 წლის 10 იანვარს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (მოგვიანებით, 2021 წლის 1 თებერვალს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად მინისტრის №2-151 ბრძანებით გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება).

განსახილველად წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საწარმოში უკვე განხორციელებულია ცვლილებები, რომელიც სცდება მოქმედი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებს. სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 29 მარტის №DES12300000088 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს საწარმოს შემოწმება და ზემოთ

ჩამოთვლილი დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებები განხილული იქნა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებად“.

კომპანია ცდილობს უკვე განხორციელებული ცვლილებების დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოქცევას, რაც დაუშვებელია - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობაზე.

მნიშვნელოვანი იყო განსახილველ სკოპინგის ანგარიშთან ერთად დაინტერესებული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შემოწმების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ადგილზე არსებული მდგომარების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციის წყაროა და ზუსტად ასახავს რა არის უკვე განხორციელებული და რა შეიძლება განვიხილოთ დაგეგმილ ცვლილებად.

2.2 საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერა

საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერისას კომპანია უთითებს, რომ „ახალი გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების შემდეგ, ე. წ. „ცოფ-1“-ს და „ცოფ-2“-ის შენობებში შეწყდა ტექნოლოგიური პროცესი. საწარმოს ტერიტორიაზე დემონტაჟი ჩაუტარდა შენობა-ნაგებობის ნაწილს. რაც შეეხება „ცოფ-1“-ს და „ცოფ-2“-ის შენობებს, 2017 წლის 9 იანვრის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობის გათვალისწინებით, შპს „ჯორჯიან მანგანეზმა“ მოამზადა აღნიშნული შენობების კონსერვაციის და გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გეგმა, რომელიც შეთანხმდა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან“. არ არის მითითებული როდის შეთანხმდა გეგმა და რა ეტაპზეა მისი შესრულება.

მნიშვნელოვანი იყო განსახილველ სკოპინგის ანგარიშთან ერთად დაინტერესებული საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ხელმისაწვდომი ყოფილიყო ხსენებული გეგმა, ისევე როგორც მოქმედი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ყველა სხვა დანარჩენი პირობის შესრულებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგის შედეგები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მდ. ყვირილასა და საწარმოს საზღვარს შორის მანძილი იცვლება 26-62 მ ფარგლებში. მინიმალური მანძილი დაახლოებით 26 მ-ია“. ჩანაწერიდან გაუგებარია როგორ იცვლება მანძილი - იზრდება, თუ მცირდება.

საერთოდ არ არის ნახსენები მდინარე ყვირილას სანიტარული დაცვის ზონა და არ არის განხილული საწარმოს განთავსების საკითხი მასთან მიმართებაში.

2.3. დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებების აღწერა

დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებების აღწერაში აღნიშნულია, რომ „2017 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მადნის სასურველ ზომამდე დასამსხვრევად გათვალისწინებული იყო ორი ერთნაირ სამსხვრევ დამხარისხებელი კომპლექსის (სდკ) მოწყობა, რომელთაგან ერთი იქნება სარეზერვო. დღეისათვის საწარმოში განთავსებულია ერთი სდკ და ვინაიდან 2019 წლიდან დღემდე, საწარმოში ვერ მოხდა საპროექტო წარმადობის მიღწევა, საწარმოში არ იყო მეორე სდკ-ს განთავსების აუცილებლობა. თუმცა, საწარმოს გადაიარაღების პროცესში, შესაძლებელია კვლავ დადგეს სარეზერვო სდკ-ს მოწყობის საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარეზერვო სდკ (მეორე ტექნოლოგიური ხაზი) მოეწყობა საჭიროების შემთხვევაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მეორე სდკ იქნება იგივე წარმადობის (200 ტ/სთ), როგორიც არსებული ხაზი და მათი ექსპლუატაცია მოხდება მონაცვლეობით, მეორე სდკ-ს განთავსება არ იქნება დაკავშირებული საწარმოს წარმადობის გაზრდასთან“.

ამ ჩანაწერიდან გაუგებარია, გახდება თუ არა სამსხვრევ დამხარისხებელი კომპლექსის მოწყობა გზშ-ს ეტაპზე განხილვის საგანი. არაფერია, ნათქვამი შესაძლო ადგილმდებარეობაზე და ზეგავლენის რისკებზე.

ამავე თავში აღნიშნულია, რომ „ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სდკ-დან 0-60 მმ ფრაქციამდე დამსხვრეული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმღებ ბუნკერში მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პირდაპირ, ლენტური კონვეიერის საშუალებით, ასევე შესაძლებელია დამსხვრეული მადანი ჯერ განთავსდეს ცალკე სანაყაროებზე, საიდანაც შემდგომ ავტოდამტვირთველის საშუალებით მიწოდებული იქნება გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმღებ ბუნკერში“. მნიშვნელოვანია შეფასდეს ორივე ვარიანტის სარგებელი და ზემოქმედება და უპირატესობა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთესს მიენიჭოს. რაღა თქმა უნდა, სანაყაროებზე განთავსება მნიშვნელოვნად გაზრდის ზემოქმედებას.

მიმდინარე პროცესების აღწერისას ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სალექარში გაწმენდილი (დალექილი) წყალი გადადის რეზერვუარში, საიდანაც ტუმბოების (ოთხი ტუმბო) საშუალებით ხორციელდება წყლის დაბრუნება ტექნოლოგიურ ციკლში და მიწოდება დანადგარებზე, ხოლო შლამი ავტომობილების საშუალებით გადის კარიერებზე“. ამ ჩანაწერის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ საწარმოს ფუნქციონირების დღიდან ნარჩენების განთავსება კანონისა და მოქმედი ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების დარღვევით კარიერებზე ხდებოდა/ხდება. ამ საკითხთან მიმართებაში, ერთის მხრივ, საინტერესოა რა რეაგირება მოჰყვა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შემოწმებისას და მეორეს მხრივ, არსებული მდგომარეობის აღწერისას უნდა მოხდეს კარიერებზე შლამის განთავსების გარემოზე ზემოქმედების დეტალური შესწავლა. მით უფრო, რომ წარმოდგენილი ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სწორედ ნარჩენების დარკვეთის კარიერზე განთავსებაა.

2. 4 ალტერნატივები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია. გასაგებია, რომ საწარმოსთან მიმართებაში ადგილმდებარეობის ალტერნატივები ვერ იქნება განხილული, მაგრამ როდესაც საუბარია ნარჩენების საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებაზე ალტერნატივები უნდა იქნას განხილული. სკოპინგის ანგარიშში ალტერნატივების განხილვის გარეშე მკაფიოდ არის მითითებული, რომ „სამთო ნარჩენები (შლამები და მშრალი ნარჩენები–კუდები) წარმოქმნის პარალელურ რეჟიმში გატანილი იქნება ჯერ დარკვეთის საბადოზე და საბადოს აღდგენის შემდეგ, სამთო ნარჩენების განსათავსებლად გამოყენებული იქნება სხვა გამონამუშევარი კარიერები“. აქვე, თითქოსდა ალტერნატივებად, წარმოდგენილია 2017 წლის გზშ ანგარიშში განხილული და საბოლოოდ დაწუნებული შლამების ღურღუმელასა და დალახაურში განთავსების ვერსიები.

ნარჩენების მართვის საკითხი მეტ დეტალიზაციას, დასაბუთებასა და შეფასებას მოითხოვს. წარმოდგენილი ინფორმაცია სკოპინგის ეტაპისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი.